საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000041223075420

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **46** **25 / დეკემბერი / 2020 წ.**

განკარგულება

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიერ, ინსბრუკში ,2006 წლის მაისში, წარმოდგენილი იქნა „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“, რომელიც მომზადებულ იქნა ევროკომისიის მხარდაჭერით, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მე-5 სათემო სამოქმედო პროგრამის ფარგლებში. **ქარტია გამიზნულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისათვის, რომლებიც მოწვეულნი არიან ,ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რათა ფორმალურად და საჯაროდ დაადასტურონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები.**

ამ ვალდებულებების განსახორციელებლად, თითოეული ხელმომწერი მხარე ვალდებულია, შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები.

ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას ყველასთვის და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისათვის. იმისათვის, რომ ეს უფლება რეალიზებულ იქნას, არა მარტო კანონიერად უნდა იქნას აღიარებული, არამედ ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა ცხოვრებისეულ ასპექტში: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული.

როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად და ჭეშმარიტად ეგალიტარული საზოგადოების ხელშესაწყობად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მთელ რიგ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობით ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია კონკრეტული ღონისძიებების გატარება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის სასარგებლოდ.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით , ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთეს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N36 დადგენილების 92-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს , ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთდეს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასჩივრება დაინტერესებული პირის მიერ შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი,აღმაშენებლის N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი